..... მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა
2018 წლისთვის
(პროექტი)

ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის რეალიზაციის სამოქმედო გეგმა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას; გენდერული თანასწორობის კანონს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის სამოქმედო გეგმებს; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებს და ადგილობრივ კანონმდებლობას. დაფუძნებულია სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებულ ხედვებსა და მიდგომებზე და განსაზღვრავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის გასათვალისწინებელ ღონისძიებებს, ეყრდნობა ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების შედეგებს და ემსახურება სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დაკისრებული ვალდებულებების რეალიზაციას.

გეგმა განსაზღვრავს ადგილობრივი პოლიტიკის პრიორიტეტების ქალებისა და კაცებისადმი, სხვა სამოქალაქო ჯგუფებისადმი თანაბარი მიმართვის საერთო სტრატეგიას და ტაქტიკას და მიზნად ისახავს მათი უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ რეალიზაციას.

გეგმა წარმოადგენს გენდერული განვითარების პროგრამული ღონისძიებების საფუძველს და უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და რიგითი მოქალაქეების სოციალური პარტნიორობის მექანიზმების დანერგვას.

დოკუმენტი ეფუძნება პრინციპს, რომ ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, გენდერული მიდგომების დანერგვა და სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება, მოქალაქეების ჩართულობა უნდა იყოს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიზანი.

სამოქმედო გეგმის პროექტი ეყრდნობა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, მათ შორის ფონდი „სოხუმის“ შემუშავებულ სტრატეგიულ გზამკვლევს „გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა მუნიციპალიტეტებში“.

მოცემული პროექტით, ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ამოცანებს წარმოადგენს:

1. უზრუნველყოს ქალებისა და კაცების, სხვა სოციალური ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა მუნიციპალური მართვის ყველა ეტაპზე;

2. უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სფეროებში;

3.უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა სოციალურ უზრუნველყოფასა და ჯანდაცვაზე;

4. შეამციროს გენდერული ძალადობის მასშტაბები;

5. უზრუნველყოს გენდერული ბიუჯეტის პრინციპების დანერგვა

გენდერული პოლიტიკის რეალიზაციის სამუშაო გეგმა ხელს შეუწყობს:

ა) ადგილობრივ პროცესებში ქალებისა და მამაკაცების სრულ ჩართვას და, შესაბამისად, ადამიანური რესურსების სრულყოფილ გამოყენებას საბიუჯეტო რესურსების სამართლიანი განაწილების პარალელურად;

ბ) რეალური თვითმმართველობის თანაბარზომიერ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (ახალგაზრდები, შშმ პირები, დევნილები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.) წარმომადგენელთათვის.

ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა უნდა იყოს მინიმუმ ერთწლიანი, განსაზღვრავს მის შესრულებაზე პასუხისმგებელი რგოლები და საბიუჯეტო რესურსები მისი რეალიზაციისათვის.

გეგმა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურთან და საზოგადოებრივ ჯგუფთან განხილვის შემდგომ წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

..... მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა
2018 ----- წლისთვის
(პროექტი)

1. ადგილებზე გენდერული პოლიტიკის განხორციელება

მიზანი: გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივ დონეზე და მისი განხორციელების ხელშეწყობა

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადა	დაფინანსების წყარო	
					ადგილობრივი ბიუჯეტი	დონორი ორგანიზაციები
1.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება	1.1.1. საბჭოს მიერ სხვადასხვა სამსახურთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით სამუშაო შეხვედრების ჩატარება და გეგმის დრაფტის შემუშავება	- საკრებულოს მიერ დამტკიცებული მინიმუმ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა	გენდერული თანასწორობის საბჭო			
1.2. გენდერული განათლების სისტემის შექმნა. გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დანერგვა	1.2.1. გენდერული ბიუჯეტის შესახებ განათლების უზრუნველსაყოფად თვითმმართველობის შესაბამის ერთეულებში ტრენინგების უზრუნველყოფა	- ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგები გენდერულ ბიუჯეტირებაზე - საჯარო მოხელეთა	ადგილობრივი თვითმმართველობა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები			

	1.2.2. გამოცდილების შეძენა გენდერულ ბიუჯეტზე სხვა ქვეყნებში გაცვლითი შეხვედრების ფარგლებში	რაოდენობა, რომელთაც გაიზიარეს სხვა ქვეყნების გამოცდილება - თვითმმართველობის წევრების გაზრდილი გენდერული კომპეტენცია და გენდერული მგრძნობელობა - გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა				
1.3. გენდერული დისკრიმინაციის და გენდერული ძალადობის მასშტაბების შემცირება	1.3.1. მუნიციპალიტეტის პერსონალის გენდერული კომპეტენციის ამაღლებისთვის ტრენინგების ჩატარება ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე, რისკ-ჯგუფის ოჯახებთან მუშაობაზე	- მუნიციპალიტეტის პერსონალისთვის (ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელები, სამსახურების სპეციალისტები და სხვა) ძალადობის პრევენციის, მსხვერპლის დაცვის კუთხით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - მსხვერპლისთვის შესაბამისი მომსახურების	ადგილობრივი თვითმმართველობა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები			

		მიწოდება - ბიუჯეტში ასახული პროგრამები მსხვერპლის დაცვის კუთხით				
1.4. გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვა ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ დოკუმენტებში, ნორმატიულ აქტებში	1.4.1. ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური დოკუმენტების ჰარმონიზაცია გენდერული კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით	- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში, მოხელეთა სამუშაოს აღწერილობაში, სოციალური დახმარების წესში, პროგრამებში ასახულია გენდერული საკითხები - გადამუშავებული შინაგანაწესი და სამუშაოს აღწერილობები, მათ შორის ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების სამუშაოს აღწერილობაში	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები რეფერალური მექანიზმების სუბიექტებთან ერთად			
1.5. მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში ადამიანური რესურსების შერჩევის დროს გენდერული თანასწორობისა და	1.5.1. საატესტაციო საკითხებში გენდერული საკითხების გათვალისწინება	- საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში სამოქალაქო ორგანიზაციების რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები			

ანტიდისკრიმინაციული პრინციპების გათვალისწინება						
1.6. გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა	1.6.1. მაღალ თანამდებობებზე ქალთა მონაწილეობის ანალიზი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა	- შემუშავებული და შესაბამის სტრუქტურებთან წარდგენილი რეკომენდაციები - ანალიზის შედეგები, იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორები - დაგეგმილი ღონისძიებები	დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულო მერია არასამთავრობო ორგანიზაციები დარგის ექსპერტები			
1.7. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგებული გენდერული ასპექტების ასახვა	1.7.1. სამსახურების სპეციალისტებისთვის ტრენინგების ჩატარება საჭიროებათა კვლევის და მონიტორინგის მეთოდებში 1.7.2. ბენეფიციარების საჭიროებების გამოსავლენად კვლევების/გამოკითხვების ჩატარება 1.7.3. სამუშაო ჯგუფის შექმნა და გენდერული პროგრამების	- სპეციალისტების რაოდენობა, ვინც გაიარა ტრენინგები და მიიღო შესაბამისი უნარები - საჭიროებათა გამოვლენის ანგარიშის დოკუმენტი - გენდერული პროგრამული ინიციატივები და რეკომენდაციების დოკუმენტები გათვალისწინებულია	ადგილობრივი ბიუჯეტის მხარჯავი სტრუქტურები გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის გენდერული სამსახური/მრჩეველი საექსპერტო წრეები აქტიური სამოქალაქო ჯგუფები			

	შემუშავება, ძალადობის მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების დანერგვა ბიუჯეტში 1.7.4. ბენეფიციარებისთვის მოტანილი სარგებლის ანალიზი და შედეგების განზოგადება 1.7.5. საბიუჯეტო წინადადებების წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1.7.6. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება და რეკომენდაციების მომზადება	ადგილობრივი ბიუჯეტით შემუშავებულ პროგრამებში - გენდერული პარამეტრები გათვალისწინებულია 2018-20 წლების პრიორიტეტებსა და პროგრამებში - მონიტორინგის დასკვნები - ახალი, საჭიროებებზე უფრო მორგებული საბიუჯეტო პროგრამების რაოდენობა - ბიუჯეტის ცვლილებების დოკუმენტი - ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დოკუმენტი ასახულია 2019- ? წლების პრიორიტეტების დოკუმენტში	პარტნიორი კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციები			
1.8. ადგილობრივ	1.8.1. გენდერული	- გენდერული	მერია			

აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შექმნილი გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის განვითარება და ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა	მრჩევლების უფლება-მოვალეობების, კონკრეტული ინსტრუქციები, ანგარიშ-ვალდებულებების ფორმების განსაზღვრა 1.8.2. გენდერული მრჩევლების ინიციატივების მხარდაჭერა 1.8.3. გენდერული მრჩევლის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის წახალისება	მრჩევლის პოზიცია შევსებულია -გენდერული მრჩევლის სამუშაო გეგმების რაოდენობა - მომზადებული ანგარიშების რაოდენობა, მათ შორის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის, ომბუდსმენის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის, გუბერნიის აპარატისთვის - გენდერული მრჩევლების მონაწილეობით დანერგილი სიახლეების რაოდენობა - მათ მიერ გავლილი ტრენინგების რაოდენობა - გენდერული	გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ომბუდსმენის აპარატთან თანამშრომლობით პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები			

		მრჩევლების მიერ სოფლის ქალებისთვის განხორციელებული ღონისძიებები, დამსწრეთა რაოდენობა				
1.9. ადგილობრივი გენდერული სტატისტიკის, მონაცემთა ბაზის შექმნა	1.9.1. მონაცემთა შეგროვებაში ჩართული პირების განსაზღვრა 1.9.2. შესაბამისი კადრის გამოყოფა, ვინც იქნება პასუხისმგებელი მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით გენდერულ მონაცემთა ბაზის შექმნაზე	- ადგილობრივი პროგრამების მოსარგებლეთა შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემთა ბაზა - სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვების და ანალიზის დანერგილი პრაქტიკა მუნიციპალიტეტის სამსახურებში	ადგილობრივი თვითმმართველობა დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები			
1.10. მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება	1.10.1. საბჭოს წევრებისთვის ფუნქციების და პასუხისმგებლობების თანაბარი განაწილება 1.10.2. საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა	- საბჭოს ინიცირებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა - სკოლებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა - თემში საინიციატივო ჯგუფებთან განხორციელებული	მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები			

	1.10.3. მედიაში მუნიციპალიტეტის გენდერული ღონისძიებების გაშუქების უზრუნველყოფა	ინიციატივები - საბჭოს წევრების მიერ გავლილი ტრენინგების რაოდენობა - საბჭოს გაზრდილი ცნობადობა - საბჭოს საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის ინტერნეტ-გვერდებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა				
1.11. საჯარო სამსახურის რეფორმაში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება	1.11.1. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში ადამიანური რესურსების შერჩევის პირობებში გენდერული თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული პრინციპების გათვალისწინება	- მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებაში შესული შესაბამისი ცვლილებები - გასაუბრების დროს გათვალისწინებულია გენდერული კანონმდებლობა - კომისიის შემადგენლობაში შეყვანილია ადგილობრივი კვალიფიციური არასამთავრობო	მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია			

		ორგანიზაციები და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები				
1.12. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის კორექტირება და მონიტორინგი	1.12.1. გეგმის შესრულების მონიტორინგი	- მონიტორინგის ანგარიშები	გენდერული საბჭო კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციები და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები			

2. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

მიზანი: მუნიციპალური სერვისების მიწოდება გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადა	დაფინანსების წყარო	
2.1. სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის გენდერული მიდგომების შემუშავება და განხორციელება ადგილობრივ დონეზე	2.1.1. სკოლამდელ აღზრდაში გენდერული ასპექტების დანერგვისთვის ტრენინგების ჩატარება, აღმზრდელთა და სხვა პერსონალის გადამზადების პროგრამაში გენდერული თანასწორობის საკითხების შეტანა 2.1.2. ბაღებში ზაფხულის ჯგუფების დანერგვა, გახანგრძლივებული ბაღების და ბაგის ჯგუფების შემოღება მომუშავე ქალების მხარდასაჭერად, საჭიროებების გათვალისწინება	- ააიპ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასა და მერიასთან შეთანხმებული აღმზრდელთა გადამზადების პროგრამის კურსი - პერსონალის (ლოგოპედების, ფსიქოლოგების, მედდების) გადამზადების პროგრამები - ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა - ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშები - შემუშავებული პოლიტიკის	ააიპ ბაღების გაერთიანება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია საკრებულო განათლების და მეცნიერების სამინისტრო არასამთავრობო სექტორი			

	2.1.3. საქართველოში მოქმედი სტანდარტების (საგანმანათლებლო, კვების, ჰიგიენის, ინფრასტრუქტურის და სხვა) მონიტორინგი 2.1.4. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	დოკუმენტი - ტრენინგი სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებთან - სპეციფიკური ჯგუფების რაოდენობა. - ბენეფიციარების რაოდენობა, ვინც ისარგებლა ასეთი სერვისით - ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რეაბილიტირებული ბაღების რაოდენობა	გენდერული თანასწორობის საბჭო			
2.2. ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა	2.2.1. სკოლის პედაგოგებში გენდერული ბალანსის ანალიზი 2.2.2. სასკოლო დაწესებულებებში მამაკაცი პედაგოგების მოზიდვის სტიმულირება 2.2.3. ცნობიერების ამაღლების შეხვედრების ორგანიზება სკოლებში	- ანგარიშის დოკუმენტი - გაუმჯობესებული სააღმზრდელო გარემო სკოლებში - ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობა განათლების რესურს ცენტრი გენდერული მრჩეველი			
2.3. ქალთა და მამაკაცთა არაფორმალური	2.3.1. ზრდასრულთა განათლების და განვითარების	- შექმნილი ცენტრები - საბიუჯეტო პროგრამები	ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი			

განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	ცენტრების/პროგრამების შექმნა	არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის	არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სამინისტროებთან თანამშრომლობით			
2.4. ზრუნვა სკოლიდან განთესილი მოსწავლეების სოციალიზაციაზე, სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების სოციალური დაცვა	2.4.1. განთესვის მიზეზების, მოსწავლეთა სოციალური პირობების შესწავლა 2.4.2. მათი სკოლაში დაბრუნების, სოციალური რეაბილიტაციის ხელისშემშლელი ყოფითი მიზეზების აღმოფხვრა (ვაუჩერით უზრუნველყოფა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა) 2.4.3. სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის პროგრამების დანერგვა	- ზრუნვის პროგრამის ბენეფიციარი მოზარდების რაოდენობა - გაცემული ვაუჩერების რაოდენობა - დანერგილი სერვისების რაოდენობა	თვითმმართველობა სოციალური უზრუნველყოფის სააგენტო სხვა დაინტერესებული რგოლები			
2.5. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკაში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება და მისი განხორციელების ხელშეწყობა	2.5.1. სტუდენტური სტაჟირების პროგრამების დანერგვა და გენდერული ბალანსის დაცვა, გოგონებისა და ვაჟებისათვის პროგრამით თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფა 2.5.2. მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ძეგლთა დაცვის სამსახურში შემოსული გენდერული	- პროგრამით მოსარგებლე გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა - სამსახურით უზრუნველყოფილი ახალგაზრდების რაოდენობა - დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	თვითმმართველობა ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებები კერძო სექტორი გენდერული თანასწორობის საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობა და			

	პრობლემატიკის თემატური პროექტების დაფინანსება		საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები			
2.6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრინციპებზე	2.6.1. ტელე-რადიოგადაცემებში გენდერულ თემებზე დისკუსიებში, გენდერული თანასწორობის საზოგადოებრივ კამპანიებში მონაწილეობა, საინფორმაციო კლიპები, საინფორმაციო ბროშურები, ბეჭდური/ინტერნეტ გამოცემების მხარდაჭერა	- მოსახლეობის ცნობიერების გაზრდილი მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - დაბეჭდილი ბროშურების რაოდენობა	გენდერული თანასწორობის საბჭო მასმედია ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები			
2.7. სპორტულ და მასობრივ ფიზიკურ აქტივობებში ქალთა წარმომადგენლობის მაღალი მაჩვენებლის მიღწევა	2.7.1. ქალთა სპორტული სკოლის ხელშეწყობა 2.7.2. სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ქალთა მონაწილეობის პოპულარიზაცია 2.7.3 ქალთა სპორტში მომუშავე სპეციალისტების მოზიდვა, მოტივირება და ჩართვა 2.7.4. გოგონებში სპორტის პოპულარიზაციისათვის სპეციალური კამპანიის წარმოება	- სპორტულ აქტივობებში ქალთა რიცხოვნობის და მათი სპორტული შედეგების გაზრდილი მაჩვენებელი - გამოყოფილი თანხის რაოდენობა - სპორტული ღონისძიებების რაოდენობა - დაჯილდოებული სპორტსმენი გოგონების რაოდენობა	სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო თვითმმართველობა ააიპ სპორტული გაერთიანება			
2.8. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობის	2.8.1. სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამის განხორციელება მოცემული ჯგუფებისთვის	- შეხვედრების/სემინარების რაოდენობა - პროგრამის მონაწილეთა	მერიის სამსახურები მოხალისეები			

გენდერული ცნობიერების ამაღლება და ადგილობრივი ინტერგირება	ინტერკულტურული საქმიანობის ხელშეწყობა 2.8.2. გენდერული თანასწორობის საკითხების მიწოდება ეროვნული უმცირესობებისათვის - საუბრები ნაადრევი ქორწინების შედეგებზე	რაოდენობა	პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები			
2.9. ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება	2.9.1. ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარება) შემუშავება	- კვლევის შედეგების მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციები - განხორციელებული პროგრამები	მერია დაინტერესებული ადგილობრივი ჯგუფები			
2.10. იგპ, ეკომიგრანტი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია	2.10.1. იძულებით გადაადგილებული და ეკომიგრანტი მოქალაქეებისათვის მათი ეკონომიკური განვითარების პროექტების შემუშავება	- იგპ და ეკომიგრანტების განვითარებისათვის განხორციელებული პროექტების რაოდენობა	მერია დაინტერესებული ადგილობრივი ჯგუფები			
2.11. მუნიციპალიტეტში გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დაზარალებულის დახმარება	2.11.1. კვლევის ჩატარება ქალთა მიმართ ძალადობის სიტუაციის შესწავლის მიზნით 2.11.2. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებები და მსხვერპლის დახმარების ხელშეწყობა საბჭოს წევრების და ადმინისტრაციული ერთეულების	- კვლევის ანგარიში - ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა - იმ მსხვერპლების რაოდენობა, რომელთაც გაეწია დახმარება ბინის უზრუნველყოფით	გენდერული მრჩეველი გენდერული საბჭო ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოციალური მომსახურების			

	ხელმძღვანელების ჩართვით 2.11.3. ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციების დაგეგმვა 2.11.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის გადახდა) 2.11.5. ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთა ინფორმირება/ტრენინგები განათლება ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებზე 2.11.6. ძალადობის რისკ-ჯგუფის ოჯახებთან მუშაობა	- გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობა, რომელთა მდგომარეობა გაუმჯობესდა მიღებული სერვისების შედეგად - მსხვერპლის დაცვისთვის გაწეული ღონისძიებები - ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთათვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მათი გაზრდილი უნარები ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე - გაუმჯობესებული სტრუქტურათშორისი კომუნიკაცია - მხარდაჭერილი პროგრამების რაოდენობა	სააგენტოსთან, ომბუდსმენის აპარატთან, სამართალდამცავ სტრუქტურებთან (უბნის რწმუნებულთან) თანამშრომლობით			
2.12. სოციალურად საშიში დაავადებების პრევენცია, ინფორმირება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა	2.12.1. სკოლამდელ და საშუალო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა 2.12.2. საინფორმაციო კამპანიის ჩატარება 2.12.3. ჯანსაღი ცხოვრების	- ჩატარებული გამოკვლევები. მაგ., ჰელმინტოზი, გამოვლენილი ქირურგიული, ორთოპედიული და ოფთალმოლოგიური, ენდოკრინოლოგიური დაავადებები - სოციალურად საშიში დაავადებების შემცირებული სტატისტიკა - ჩატარებული კამპანიების რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობა გენდერული თანასწორობის საბჭო ქალაქის სამედიცინო პერსონალი მუნიციპალიტეტი დარგის სპეციალისტები			

	წესის დამკვიდრებისთვის შესაბამისი პროექტების მხარდაჭერა	- განხორციელებული პროექტების რაოდენობა	საგანმანათლებლო დაწესებულებები მედია			
2.13. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების მხარდაჭერა	2.13.1. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების სპეციალური ბაზის შექმნა 2.13.2.შესაბამისი პროექტების მხარდაჭერა (პანდუსები, სველი წერტილები შშმ პირებისთვის, სპეციფიკური პროგრამები გენდერული საჭიროებების მიხედვით) 2.13.3. ხანდაზმულთათვის პროგრამის კრიტერიუმების დახვეწა	- შშმ პირთა გაზრდილი პიროვნული და პროფესიული რეალიზაციის შესაძლებლობები - განხორციელებული პროექტების რაოდენობა - დანერგილი პროგრამების მონიტორინგის მასალები - პროგრამაში მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრების რაოდენობა	გენდერული მრჩეველი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საკრებულო მერია სოციალური მომსახურების სააგენტო			
2.14. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	2.14.1. სოციალური მომსახურების გაუმჯობესებისთვის - სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციების მხარდაჭერა - (სერვისების აუტსორსინგის პრაქტიკის დანერგვა, ტენდერები მომსახურების შესყიდვისთვის) 2.14.2. საბიუჯეტო პროგრამების მომზადება სოციალური სერვისების	- ადგილობრივ პროვაიდერთა (არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები) რაოდენობა, ვინც მიიღო მონაწილეობა სერვისების მიწოდებაში - გაცემული გრანტების რაოდენობა გენდერული ჯგუფებისთვის (ქალები, შშმ პირები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები/მოხუცები, იგპ, მრავალშვილიანი დედები,	მერია გენდერული მრჩეველი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივი სათემო ჯგუფები			

	მიწოდების ალტერნატიული გზების წასახალისებლად (მაგალითად, კერძო ბაღების სერვისის მხარდაჭერა) 2.14.3. გენდერული თანასწორობის სფეროში კვალიფიციურ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრები გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მათი ჩართვა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და ბიუჯეტის მონიტორინგის პროცესში	მარტოხელა მშობლები და ა.შ.) - დანერგილი ახალი სერვისების რაოდენობა - შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშები - ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის ანგარიში				

3. მოქალაქეთა მონაწილეობა

მიზანი: მუნიციპალიტეტის ცხოვრების ყველა სფეროში ქალების და კაცების, სხვა ჯგუფების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა

3.1. გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვა	3.1.1. გარემოს დაცვის საკითხების განხილვისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების მონაწილეობის პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის ხელშეწყობა	- აღნიშნული პროცესის მონაწილე ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობა
3.2. მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით უზრუნველყოფილი ფორმების წახალისება	3.2.1. ელექტრონული პეტიციის ფორმის დანერგვა 3.2.2. თვითმმართველობის სამსახურების ანგარიშების სისტემის	- წარმოდგენილი პეტიციების რაოდენობა - ანგარიშებში გენდერული მარკერების გათვალისწინება - მოქალაქეთა მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსების რაოდენობა

	დანერგვა 3.2.3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პოპულარიზაცია	
3.3. თვითმმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტში გენდერული საკითხების გათვალისწინება	3.3.1. მედიასთან სისტემატიური თანამშრომლობა 3.3.2. ინტერნეტ რესურსების გამოყენება	- გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური ფეისბუქგვერდი - გენდერული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის ინტერნეტ-გვერდებზე - შეხვედრების რაოდენობა - მონაწილეთა რაოდენობა